პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 67 (4577)

1972 წ. 5 აპრილი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## „გამარჯვების" ბილიკებით

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე იმ დღეს თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა მოიყარეს თავი, რათა მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივებით გათვალისწინებულ მარშგარბენში ეცადათ ძალა.

ქალიშვილებს 3 კილომეტრი უნდა გაერბინათ, ვაჟებს კი 6. დისტანცია ჭავჭავაძის პროსპექტს მიჰყვებოდა, ვაკის გამარჯვების სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიას გაივლიდა და სტადიონის სათადარიგო მინდორზე მთავრდებოდა. გზა რთულიც იყო და საინტერესოც.





მონაწილე ბევრი იყო, ამიტომ ნორმატივების მიმღებმა კომისიამ ისინი რამდენიმე ჯგუფად გაანაწილა.

სტარტამდე მასწავლებლებმა გვიამბეს, მშდ ნორმატივების ჩაბარებისთვის ინსტიტუტში რა ღონისძიებები გატარდა. მზადება პრესაში კომპლექსის დებულების გამოქვეყნებისთანავე დაუწყიათ. სტუდენტებს თავდაპირველად ტანვარჯიშულ ელემენტებში — ღერძზე მიზიდვაში, ტანვარჯიშულ ხიდზე წოლბჯენიდან · ღუნწოლბჯენსა და წოლბჯენში, ზეტანის აწევა-დაშვებაში უცდიათ ძალა... საუკეთესონი აქაც გამოირჩეოდნენ. მაგალითად, ქალიშვილებში ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა ქიმიის ფაკულტეტის მეორეკურსელი ლალი მეხრაძე, რომელმაც დისტანცია 15 წუთსა და 10 წამში გაირბინა. ეს ოქროს სამკერდე ნიშნის მიღების უფლებას იძლევა.

ვაჟთა შორის ბადალი არ ჰყავდა აზერბაიჯანული ფაკულტეტის მეორეკურსელს, სწავლასა და სპორტში მოწინავე ე. კალაჯევს — 24.50,0. მას ოქროს სამკერდე ნიშანზე ნორმატივის ჩასაბარებლად 6 კილომეტრის 33 წუთში დაფარვაც ჰყოფნიდა.

ო. გელაშვილი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარშგარბენში შეჯიბრება ქალიშვილებმა გახსნეს; ვაჟები ძნელ გზას გაუდგნენ.

ავტორის ფოტოები.

## ისინი შვიდნი იყვნენ

### მშდ-ს პირველი ნიშნოსნები საქართველოში: ო. ავალიშვილი, ლ. დემურია, გ. მეუნარგია, ვ. მდივანი, შ. დიასამიძე, გ. ავალიშვილი, გ. მახათაძე

... 1931 წელი. მწყობრში დგება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი. საბჭოთა სპორტსმენები პირველ ნაბიჯებს დგამენ დიდ სპორტში. თითოეული მათგანისთვის კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება ისეთივე ღირსების საქმეა, ისეთივე სერიოზული ამოცანაა, როგორიც დიდ შეჯიბრებებში წარმატებით მონაწილეობა.

საქართველოში მშდ კომპლექსის ნიშნებით პირველად დაიმშვენა მკერდი „შესანიშნავმა შვიდეულმა", რომელთაგანაც ექვსი კალათბურთელი იყო — ოთარ ავალიშვილი, ლევან დემურია, გრიგოლ (გიგა) მეუნარგია, ვახტანგ (ლიტუშა) მდივანი, შალვა დიასამიძე და გიორგი ავალიშვილი. მეშვიდე გახლდათ გიორგი (გიგული) მახათაძე, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის უფროსი ინსტრუქტორი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ნორმატივების ჩაბარების ორგანიზაციისთვის.

მე კარგად მახსოვს ის დღე, როცა საქართველოს პროფსაბჭოს საქმეთა დარბაზში პროფსაბჭოს თავმჯდომარემ გიორგი სტურუამ საზეიმო ვითარებაში გადასცა სამკერდე ნიშნები ჩვენს რესპუბლიკაში მშდ კომპლექსის პირველ ნიშნოსნებს.

მას შემდეგ ორმოც წელზე მეტი გავიდა. „შესანიშნავი შვიდეული" დაიშალა. ოთარ ავალიშვილი და ლევან დემურია მამაცთა სიკვდილით დაეცნენ გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში. აღარ არიან გიგა მეუნარგია, ვახტანგ მდივანი, გიგული მახათაძე.

ცოცხალი დარჩნენ ორნი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ავალიშვილი და სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შალვა დიასამიძე.

დღეს მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივებს აბარებენ ვეტერანთა აღსაზრდელები. მათი სპორტული „შვილიშვილები" და „შვილთაშვილები", ახალგაზრდა ფიზკულტურელები სათუთად ინახავენ მათს ხსოვნას, ვინც საბჭოთა სპორტის აკვანი დაარწია. ეს პატივისცემა საბჭოთა სპორტის მომავალ გამარჯვებათა თავისებური საწინდარია.

სხვათა შორის, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ვეტერანი — გიორგი ავალიშვილიცა და შალვა დიასამიძეც აპირებენ მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას.

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

## ნონა რიგაში გაემგზავრა

გუშინწინ ნონა გაფრინდაშვილი რიგაში გაემგზავრა. 9 მაისს იქ საზეიმოდ გაიხსნება ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში. მეორე დღეს ორთაბრძოლის I პარტია შედგება.

შეხვედრის პირობები იგივეა, რაც მეტოქეთა პირველი ორი მატჩისა: უნდა გათამაშდეს 16 პარტია. ის, ვინც უფრო ადრე მოაგროვებს 8,5 ქულას, გამარჯვებულად გამოცხადდება. გაფრინდაშვილს მსოფლიო ჩემპიონის სახელის შესანარჩუნებლად 8 ქულაც ჰყოფნის. მეტოქენი კვირაში სამ პარტიას ითამაშებენ. ავადმყოფობის გამო თითოეულ მოჭადრაკეს მხოლოდ სამი პარტიის გადადება შეუძლია.

მსოფლიო ჩემპიონი ლატვიის ერთ-ერთ ზღვისპირა აგარაკზე დაისვენებს, თან განაგრძობს მზადებას ძნელი ორთაბრძოლისთვის. მას ახლავს რესპუბლიკის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორი, საერთაშორისო არბიტრი ლ. წეროძე.

## ნანა ალექსანდრია: „თავს კარგად, ხალისიანად ვგრძნობ"



ამ დღეებში ხშირად გვეკითხებიან: როგორ არის ნანა ალექსანდრია, ემზადება თუ არა იგი მსოფლიოს გუნდური პირველობისთვის, სექტემბერში იუგოსლავიაში რომ უნდა შედგეს?

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ნანა ალექსანდრიას.

— ქალთა V საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელსაც იუგოსლავიის ქალაქი სკოპლე უმასპინძლებს, დიდი საერთაშორისო შეჯიბრებაა, — თქვა ნანამ. — სსრ კავშირის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ნონა გაფრინდაშვილი, ალა კუშნირი და მე ვიყავით, 1969 წელს პოლონეთში ჩემპიონობა მოიპოვა. წლევანდელი ოლიმპიადაც ძნელი იქნება და სერიოზულ მზადებას საჭიროებს. მოწინავე საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა შეკრებაზე, რომელიც გამოჩენილი მწვრთნელების ალექსანდრე კონსტანტინოპოლსკის, ისააკ ბოლესლავსკისა და დავით ბრონშტეინის ხელმძღვანელობით მოეწყო მარტის მეორე ნახევარში მოსკოვის მახლობელ ერთ-ერთ აგარაკზე, ოლიმპიური გუნდის წევრებიც ვიყავით მიწვეული. მაგრამ ოლიმპიელებიდან შეკრებაში მხოლოდ კუშნირი მონაწილეობდა. ამ დროს ნონა შავი ზღვის პირას, კურორტზე ემზადებოდა კუშნირთან მატჩისთვის. მეც მქონდა მიზეზი.

— ოლიმპიადამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, — განაგრძო ნანამ. — ჩემთვის ახლა მთავარია დროულად დავამთავრო სადიპლომო შრომა. შარშან უნივერსიტეტში დავასრულე დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური განყოფილების სრული კურსის მოსმენა, მაგრამ დიპლომი არ დამიცავს. ეს იმიტომ მოხდა, რომ თითქმის მთელი წელი ჭადრაკით ვიყავი დაკავებული. გაზაფხულზე იუგოსლავიის აგარაკ ობრიდში მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირში ვითამაშე, ზაფხულში ჰოლანდიაში მილუნკა ლაზარევიჩთან მქონდა მატჩი, შემოდგომით კი კისლოვოდსკში ალა კუშნირს შევხვდი. დიპლომისთვის დრო აღარ დამრჩა.

— და მაინც, — გაიღიმა ნანამ, — დიპლომის დაცვა თავისთავად გადაიდება· მაისში ბავშვს ველი. თავს კარგად, ხალისიანად ვგრძნობ. ჩემი მდგომარეობა მეცადინეობაში ხელს არ მიშლის. ზაფხულში დრო მექნება, რომ ოლიმპიადისთვისაც მოვემზადო. ჭადრაკს ახლა მხოლოდ სახალისოდ ვთამაშობ.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. ალექსანდრია.
ს. თევზაძის ფოტო.

„ლელო" ინფორმაციას

## ახლა — ფინალი

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, დამთავრდა დედაქალაქის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ფინალურ შეჯიბრებაში თამაშის უფლება მოიპოვეს ლ. კოროშინაძემ (6 ქულა), ნ. ხუბულურმა (5,5), მ. გაგლოევამ, დ. ქობალიამ, ვ. დანელიამ (5-5) და ვ. ბაშინჯაღიძემ (4,5).

შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 28 ქალი მონაწილეობდა, შვეიცარიული სისტემით (7 ტური) ჩატარდა. ფინალი წრიული სისტემით მოეწყობა.

ფინალის I ტური დღეს გაიმართება.

## ანდრიანოვის „სიმწიფის ატესტატი"

კიევი, 3 აპრილი. დღეს გაიმართა სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა 43-ე პირად-გუნდური ჩემპიონატის დასკვნითი ასპარეზობა: ფინალისტები — 16 ქალი და 11 ვაჟი — ერთმანეთს ქვეყნის აბსოლუტურ ჩემპიონობას ეცილებოდნენ.

დიდი წარმატება მოიპოვა ვლადიმირელმა სტუდენტმა, 20 წლის ნ. ანდრიანოვმა, რომელიც პირველად გახდა ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი. ეს უმაღლესი წოდება მას 113,25 ქულამ მოუტანა. ანდრიანოვის მრისხანე მეტოქეებმა, მოსკოველებმა მ. ვორონინმა (111,55) და ვ. კლიმენკომ (110,45) შესაბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიხვეჭეს.

როდესაც ტურნირის პირველ დღეს სავალდებულო პროგრამაში გამარჯვების შემდეგ ანდრიანოვს ჰკითხეს, ვარაუდობდა თუ არა ამ წარმატებას, ტანმოვარჯიშემ უპასუხა: „უბრალოდ, მე ძალიან კარგად მოვემზადე". და მართლაც, ყველა იარაღზე სტაბილურმა ოსტატობამ, კომბინაციების სირთულემ და ორიგინალობამ, მაღალმა ტემპმა და ტემპერამენტმა, რაც ანდრიანოვმა გამოავლინა, მეტისმეტად მოხიბლა კიეველები.

დღევანდელი პროგრამის პირველივე სახეობაში — თავისუფალ ვარჯიშში მომავალმა ჩემპიონმა საფუძვლიანი განაცხადი გააკეთა გამარჯვებაზე — 9,6 ქულა (ეს საუკეთესო შედეგი იყო). ვორონინმა და კლიმენკომ 9,4-9,4 ქულა მიიღეს. შემდგომში ანდრიანოვმა არა თუ რაიმე ხელშესახები შეცდომა დაუშვა, არამედ თითქმის ყველა ვარჯიშში საუცხოო შეფასებაც დაიმსახურა. განსაკუთრებით ბრწყინვალე იყო მისი გამოსვლა ორძელზე — 9,7 ქულა. და თუმცა ბოლო იარაღზე — ღერძზე — შეფასება შედარებით ნაკლები იყო (9,3), ამას ტურნირის საბოლოო შედეგზე უკვე აღარ შეეძლო გავლენის მოხდენა.

ქალთა შორის სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა გროზნოელი ლ. ტურიშჩევა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ვიტებსკელი თ. ლაზაკოვიჩი და გროდნოელი თ. კორბუტი.



მხოლოდ ერთი წელია „ვოლნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ ბათუმში გახსნა აფროსნობისა და ნიჩბოსნობის ახალგაზრდული სპორტული სკოლა, რომელშიც ნიჭიერი ნოზარდები გაერთიანდნენ. სკოლის მოსწავლეები ზღვის ხშირი სტუმრები არიან, აქ ისინი ეუფლებიან ნავის მართვას, სრულყოფენ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას.

• • •

სურათებზე: სპორტსმენები აფრიანი ნავებით სავარჯიშოდ გავიდნენ; ნიჩბოსნები წვრთნისთვის ემზადებიან.



ვ. გრიშჩენკოს ფოტოები.

## სურმანიძე— უძლიერესი

ესტონეთის პატარა ქალაქ ვილიანდში ახლახან გაიმართა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრება ძალოსნობაში. საქართველოს წარმომადგენელთაგან წარმატება მოიპოვა ა. სურმანიძემ. მან ქვემსუბუქი წონის ძალოსნებში ტოლი არავის დაუდო და სამჭიდში (345 კგ) I ადგილი დაიკავა.

## III ადგილზე

გუშინწინ ბუდაპეშტში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უნგრეთის (2), ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს ვაჟთა ნაკრები გუნდები. საქართველოს კოლექტივმა, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, III ადგილი დაიკავა. ქართველმა ხელბურთელებმა მოუგეს უნგრეთის მეორე გუნდს (19:17), უნგრეთის პირველ ნაკრებთან და ჩეხოსლოვაკიის გუნდთან კი დამარცხდნენ (12:16 და 13:14).

ყველას აჯობა უნგრეთის პირველმა ნაკრებმა, რომელმაც გადამწყვეტი მატჩი მოუგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს — 22:13.

## წარმატების საწყისი

ხელვაჩაურის საშუალო სკოლა (დირექტორი დ. მახარაძე) რაიონში მოწინავეა აკადემიური მოსწრებითაც და სპორტული შედეგებითაც. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფიზაღზრდის მასწავლებელ ი. ვარშალომიძეს.

შარშანდელი სპორტული სეზონი ხელვაჩაურელი მოსწავლეებისთვის უხვმოსავლიანი გამოდგა. რაიონის 23-ე სპარტაკიადაში მათ III ადგილი დაიკავეს.

თავი ისახელეს კალათბურთელებმა (გოგონები, ჭაბუკები), ხელბურთელებმა (გოგონები) და ფეხბურთელებმა. ყველანი ჩემპიონები გახდნენ. მოჭიდავეებს III ადგილი ხვდათ.

— ჩვენი სკოლის 18 სპორტსმენი რაიონის ნაკრებში გამოდიოდა. მათ თავი გამოიჩინეს აჭარის მოსწავლეთა სპარტაკიადაში, სადაც გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა, — გვითხრა ვარშალომიძემ.

სკოლაში პერსპექტიულ სპორტსმენებად მიაჩნიათ კალათბურთელი ნანა გოგიჩაიშვილი, ფეხბურთელი ს. წულუკიძე, რომელიც ახალგაზრდა დინამოელთა გუნდში ვარჯიშობს, და სხვ.

მკაცრმა ზამთარმა ხელი შეუშალა სპორტსმენთა წვრთნას. ყველანი დარბაზში მეცადინეობდნენ, სადაც, ცხადია, სივიწროვე იყო. მაგრამ ეს მაინც მოსათმენი იქნებოდა, ამავე დარბაზში პიონერთა სახლის სიმღერისა და ცეკვის გუნდების რეპეტიციებიც რომ არ ეწყობოდეს. თან, ცენტრალური გათბობაც არ მუშაობდა.

ნორჩი ხელვაჩაურელი სპორტსმენები მონდომებით ვარჯიშობენ და მომავალი წარმატებებისაც სჯერათ.

თ. მურვანიძე,
(ჩვენი კორ.).

დაბა ხელვაჩაური,
ხელვაჩაურის რაიონი.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

## ტრასაზე არიან მამა, დედა და შვილი

საბჭოთა კავშირში ჩემპიონთა ყველაზე ახალგაზრდა ოჯახი შეიძლება ვუწოდოთ სევოსტიანოვების ოჯახს ლენინგრადიდან. ტრიოდან — მამა, დედა და შვილი — ბოლოს ათი წლის პეტიამ მიიღო პრიზი.

ჯერ მშობლებზე ვილაპარაკოთ. დედა — ვალენტინა ქალაქის ექსგზის ჩემპიონია 175 კბ სმ მოტოციკლების კლასში, ხოლო მამა — გენადი — 15 წელია არ თმობს ამ ტიტულს.

გასაგებია, რომ შვილის პირველი სათამაშოც მანქანაა. ბიჭის ეს გატაცება რომ შენიშნა, ოჯახის მეგობარმა ი. მიტროპოლსკიმ ბავშვს პატარა ავტომანქანა გაუკეთა. უკვე ორი წლის ასაკში გაუგო ბიჭმა გემო სიჩქარეს. ნორჩმა შოფერმა ისე შეიყვარა თავისი ახალი სათამაშო, რომ ხშირად საჭესთან... იძინებდა.

ექვსი წლის ბიჭი ამაყად დააქროლებდა აქეთ-იქით მინიატურულ მოტოციკლს. სულ ახლახან კი ლენინგრადის ჩემპიონატში პეტიამ ყველას აჯობა 16 წლის ასაკამდე ბიჭების შეჯიბრებაში მოტოციკლით, რომლის სიმძლავრეც სამი ცხენის ძალა იყო, ხოლო ძრავის მოცულობა — 50 კბ სმ. გამარჯვებული ყველაზე უმცროსი იყო მონაწილეთა შორის.

ახლა პ. სევოსტიანოვმა, ლენინგრადელმა მეოთხეკლასელმა მოსწავლემ, მოზრდილთა III თანრიგი მიიღო სამოტოციკლო სპორტში. უნდა ითქვას, რომ პეტია სკოლაში კარგად სწავლობს და დიდი ავტომანქანის მართვაც იცის, შეიძლება დადგეს დრო, როცა ტრასაზე მამა, დედა და შვილი ერთად აიღებენ სტარტს.

ს. გავრიკოვი.

ლენინგრადი.

## საჭადრაკო მიმოხილვა

## ჭადრაკი ყველან უყვართ

ორიოლის ჭადრაკის მოყვარულებს სტუმრად ეწვია მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, დიდოსტატი მ. ბოტვინიკი. მან ლექციები წაიკითხა ფოლადსაგლინავ ქარხანაში, საქსოვ ფაბრიკაში, ინსტიტუტ „გიპრონისელპრომში", ჩაატარა ერთდროული თამაშის სამი სეანსი.

თავის ლექციებში ჭადრაკის აწმყოსა და მომავალზე ლაპარაკის დროს დიდოსტატი, ბუნებრივია, შეეხო ბ. სპასკი — რ. ფიშერის მომავალ მატჩს.

— ვინ გაიმარჯვებს? რასაკვირველია, ეს ჯერჯერობით არავინ იცის, — თქვა მ. ბოტვინიკმა. — ფიშერი დიდი ტალანტის მოჭადრაკეა. იგი სწრაფად და იოლად თვლის ვარიანტებს, მიზანდასახულად თამაშობს, მაგრამ ნიჭი არც სპასკის აკლია. თუ ფიშერთან შეხვედრაში თავისი საუკეთესო სტილით ითამაშებს, სპასკი შეინარჩუნებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას.

ახალგაზრდა დიდოსტატებს შორის მ. ბოტვინიკმა მაღალი შეფასება მისცა ა. კარპოვს.

— კარპოვი დიდი მომავლის მქონე მოჭადრაკეა, — თქვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა. — მე არ გამიკვირდება, თუ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მისი ტალანტი მომძლავრდება, კარპოვი საჭადრაკო გვირგვინის პრეტენდენტი გახდება.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ბოტვინიკმა ილაპარაკა მეცნიერებისა და თავისი მუშაობის შესახებ „ხელოვნური მოჭადრაკის" შექმნის სფეროში.

— სპეციალური ელექტრონული მანქანები, — შენიშნა მან, — ჯერჯერობით ჭადრაკს ადამიანებზე უარესად თამაშობენ, დაახლოებით მესამე თანრიგის მოჭადრაკის დონეზე, მაგრამ, თუ მანქანა ისწავლის ვარიანტების უფრო მეტი რიცხვის გათვლას, მისი „ოსტატობა" უდავოდ გაიზრდება.

ი. პოლუშინი.

ორიოლი.

## თქვენთვის, „რობინ ჰუდებო"!

მეათასე სპორტული მშვილდის გამოშვებით პიარნუს სატყეო კომბინატის კოლექტივმა თავისებური იუბილე აღნიშნა. ყველაზე მეტი მილოცვა მიიღეს დურგლებმა რ. ორგმა და კ. როონიმ. საკურორტო ქალაქში მათ პირველებმა გადაწყვიტეს „რობინ ჰუდებისთვის" იარაღის გამოშვება. საამქროს ხელმძღვანელობა დაეხმარა ენთუზიასტებს — გამოუყვეს ოთახი, სპეციალური ჩარხები.

... მცირერიცხოვან კოლექტივებში ნამდვილი დღესასწაული იყო, როცა მინისა და პლასტიკური მასალის ნაერთით დაფარული კოხტა და საიმედო პირველი მშვილდი გაზრწყინდა.

ახლა რ. ორგი ორიგინალური ასაწყობი მშვილდების ავტორი გახდა, მშვილდებში, რომელთაც „რობი" დაარქვეს, გატეხილი სამხრეები შეიძლება ერთ წუთში შეიცვალოს.

... ორგმა და როონიმ უკვე ორმოცს გადააბიჯეს, მაგრამ მაინც რეგულარულად ვარჯიშობენ მშვილდოსნობაში და სპორტის ოსტატის ნორმატივებიც შეასრულეს.

პიარნუში მშვილდების გამოშვებამ კარგი გავლენა მოახდინა ესტონეთში „რობინ ჰუდების" ხელოვნების მასობრიობაზე. ამჟამად ამ სახეობას აქ ასობით მოყვარული ჰყავს. ესტონეთის ქალთა ნაკრებმა გუნდმა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ოქროს მედლები მოიპოვა, ვაჟთა გუნდმა კი ბრინჯაოს მედლები.

ზ. იასტრებოვი.

ტალინი.

## ყველაზე მასობრივი

**ჩარჯოუ, 8 აპრილი.** თურქმენეთის ამ ქალაქის შემოგარენში სამ დღეს გრძელდებოდა ბოლო წლებში ყველაზე მასობრივი რესპუბლიკური მოტოკროსი. გუნდურ ჩათვლაში საუკეთესონი აღმოჩნდნენ ავტომოტოკლუბის წარმომადგენლები.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აშხაბადის, მარის, კრასნოვოდსკის, ტაშაუზისა და კერკის სპორტსმენები.

კროსმენები პირველად ასპარეზობდნენ, აგრეთვე, მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლასა და ხელყუმბარის ტყორცნაში მშდ ახალი კომპლექსის გართულებული პროგრამით.

## ოლიმპიური სპორტისთვის

### ★ ჯვარზენი

დოსააფის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა აქ ენგურჰესის მშენებელთა შიდასაკოლექტივო პირად-გუნდური პირველობა ჩაატარა მცირეკალიბრიანი შაშხანითა და პისტოლეტით სროლაში. შაშხანით სროლაში გუნდური I ადგილი მე-3 ავტოსატრანსპორტო კონტორის ნაკრებმა დაიკავა. პისტოლეტით სროლაში საზეიოს ძალოვანი კვანძის სამმართველოს ნაკრებმა იმარჯვა.

ზ. ალშიბაია.

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# მონდომების, შეუპოვრობის ნაყოფი

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტკომბინატის საცურაო აუზი. 3 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) 5:4 (0:1, 2:0, 2:2, 1:1).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“: გულედანი, კურტანიძე, სანაძე, ერაძე, არუთინოვი, იოსელიანი, უშანგიშვილი.

„ᲑᲐᲚᲢᲘᲙᲐ“: ერიომინი, პოსელცარი, ბუხანოვი, ბურკოვი, სტრიუევსკი, გელერმანი, მოკროუსოვი.

მსაჯი ნ. საცუკევიჩი (მინსკი).

თბილისელებმა „ბალტიკასთან“ შეხვედრაც დიდი მონდომებით, ძლიერად და, რაც მთავარია, ტაქტიკურად სწორად წარმართეს. ისინი ყოველმხრივ სჯობდნენ მეტოქეს და არც დასანანი შეცდომა იყო მაინცდამაინც ბევრი. დაიწყო თუ არა მატჩი მსაჯმა უხეში თამაშისთვის აუზიდან გააძევა გელერმანი და დინამოელებს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მიეცათ. მაგრამ უშანგიშვილმა არცთუ ძლიერად ტყორცნა კარში და ბურთი ლენინგრადელთა მეკარემ ადვილად მოიგერია. სულ მალე ჩვენს კარში 4-მეტრიანი საჯარიმო დაინიშნა, მაგრამ სტრიუევსკიმ ბურთი ძელს მოახვედრა. ბუხანოვმა მაინც შეძლო „დინამოს“ კარის აღება.

მეორე პერიოდი დინამოელებმა ძლიერი შეტევებით დაიწყეს და უშანგიშვილის მიწოდებიდან იოსელიანმა ანგარიში გაათანაბრა. უმალვე კურტანიძემ მეორედ აიღო „ბალტიკის“ კარი.

მესამე პერიოდში ანგარიში ორჯერ გათანაბრდა: ჯერ ბურკოვმა ზუსტად ტყორცნა „დინამოს“ კარში, მერე სანაძე — ისელიძის კომბინაცია „ბალტიკის“ კარის აღებით დაგვირგვინდა. მაგრამ აი, სტრიუევსკის მესამე ბურთი გააქვს — 3:3. პერიოდის დამთავრებას წამები რომ აკლდა, ლენინგრადელთა კარში დაინიშნა 4-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც ზუსტად გამოიყენა ისელიძემ — 4:3.

ბოლო პერიოდში კარგი თამაშით თავი გამოიჩინა გულედანმა, რომელმაც რამდენიმეჯერ იხსნა კარი აშკარა გოლისგან. როცა „ბალტიკამ“ 4-მეტრიანი საჯარიმო ვერ გამოიყენა, ამით აღფრთოვანებულმა თბილისელებმა მძლავრი შეტევა წამოიწყეს მეტოქის კარის სიახლოვეს. კურტანიძემ დროზე შეამჩნია კარგ მდგომარეობაში მყოფი სანაძე, ბურთი მას გადააწოდა და ანგარიში 5:3 გახდა. მატჩის ბოლომდე სტრიუევსკიმ ანგარიში მინიმუმამდე დაიყვანა.

ამ დღეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდმა დაამარცხა კიევის „დინამო“ — 5:3.

ჩვენმა წყალბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური კარგად ჩაატარეს. თუ გავიხსენებთ შარშანდელი პირველი მატჩების შედეგებს, როცა ოთხი თამაშის შემდეგ „დინამოს“ მხოლოდ 3 ქულა ჰქონდა, ახლანდელი 6 ქულა საფუძვლიანი მარაგია მეორე ტურის წინ, რომელიც აპრილის მეორე ნახევარში კიევში ჩატარდება.

გაიოცდილ მოთამაშეებს... ძესა და ვ. ისელიძეს ... მხარი ახალგაზრდებმა ნ. კურტანიძემ, თ. იოსელიანმა, ნ. ერაძემ, თ. უშანგიშვილმა და ვ. არუთინოვმა. „დინამოს“ კარი საიმედოდ ჰქონდა ჩაკეტილი მ. გულედანს. ამიტომ იყო, რომ საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილი ჯილდო — გაზეთ „თბილისის“ პრიზი — სწორედ მას გადაეცა. საუკეთესო მცველად აღიარეს მოსკოველი ა. დოლგუშინი, რომელმაც „ახალგაზრდა კომუნისტის“ პრიზი მიიღო. საუკეთესო თავდამსხმელის ჯილდო, რომელიც „ვეჩერნი თბილისმა“ დააწესა, გადაეცა მოსკოველ ლ. ოსიპოვს, ხოლო საუკეთესო დებიუტანტის პრიზი („მოლოდიოჟ გრუზიი“) — თ. იოსელიანს.

ზ. ჯანდიერი.

# მანეჟი რინგად გადაიქცა

კრასნოიარსკი, 3 აპრილი. ენისეიზე მდებარე ამ ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო დარბაზში — ცირკის ახალ შენობაში დღეს დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება კრივში. შეჯიბრებაში რვა გუნდი მონაწილეობს: საბჭოთა არმია, „დინამო“, „შრომითი რეზერვები“, „პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო-1“, „პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო-2“, „ტრუდი“, „სპარტაკი“ და „ბურევესტნიკი“.

თასის მესამე გათამაშებაში მაყურებლები ქვეყნის საუკეთესო მოკრივეებს იხილავენ — რინგზე გამოვლენ ვ. ტარასენკოვი, ვ. ჩერნიშოვი, ა. დოლგოვი, ნ. ხრომოვი, ა. იზოსიმოვი, ვ სოკოლოვი, ა. მელნიკოვი, ვ. ზაპოროჟეცი, ა. აბდრახმანოვი და სხვ. ეს შეჯიბრება მიუნხენის ოლიმპიური თამაშების წინ ერთ-ერთი შემოწმება იქნება.

ტურნირი გახსნეს საბჭოთა არმიისა და „ტრუდის“ წარმომადგენლებმა. არმიელები აშკარად სჯობდნენ მეტოქეს: 11 შეხვედრიდან ცხრა მოიგეს. საბოლოო ანგარიშია 20:13 (სამატჩო შეხვედრაში გამარჯვებულს 2 ქულა ერიცხება, დამარცხებულს — 1).

სენსაცია იყო ევროპის ორგზის ჩემპიონის, არმიელი ვ. ტრეგუბოვის წაგება 25 წლის ვ. სიტნიკოვთან (კრასნოიარსკი). ტრუდელმა ძალიან მწვავე ბრძოლაში აჯობა მეტოქეს. მეორე რაუნდში ტრეგუბოვმა დაცვა შეასუსტა და ძლიერი დარტყმაც იგემა. ნოკდაუნის შემდეგ ჩემპიონი როგორღაც მოეშვა და ვერაფრით ველარ შემოაბრუნა ბრძოლის ჩარხი.

ტურნირი 9 აპრილამდე გასტანს.

# დაიწყო წინაოლიმპიური რეგატა

იერი, 3 აპრილი. საფრანგეთის ამ საპორტო ქალაქში აფროსანთა წინაოლიმპიური რეგატა დაიწყო. საბჭოთა სპორტსმენებიდან სტარტი ყველაზე უკეთ აიღო ვ. მანკინმა, რომელმაც იოლად მოიგო პირველი რბოლა „ტემპესტის“ კლასის ნავებით.

კიეველი სპორტსმენი ამ ორადგილიანი ნავით თანაქალაქელ ვ. დორთან ერთად ასპარეზობს. წინათ მანკინი „ფინის“ კლასში გამოდიოდა და, როგორც ცნობილია, 1968 წელს მექსიკაში ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა.

ახალი ოლიმპიური კლასის — „სოლინგის“ ნავებით პირველ რბოლაში საპატიო III ადგილი დაიკავა მეორე გამოცდილმა საბჭოთა სპორტსმენმა, ასევე ოლიმპიადაში გამარჯვებულმა (1960 წ.), მოსკოველმა ტ. პინეგინმა. წინათ იგი „ვარსკვლავის“ კლასში გამოდიოდა.

„სოლინგით“ ფინიშთან პირველი მივიდა იტალიელი კოკოლონი.

„ფინის“ კლასში 125 ნავი ასპარეზობდა. ამიტომ მონაწილენი ორ ჯგუფად დაიყვნენ. „ა“ ჯგუფში პირველი იყო ფრანგი ასეზატი, „ბ“ ჯგუფში კი გფრ-ის წარმომადგენელი ეჰელერსი. ამ ორი პირველი რბოლის შედეგების მიხედვით შედგება ორი ახალი ჯგუფი და ასე გაგრძელდება რეგატის ბოლომდე.

„ურჩხულის“ კლასში ჯერჯერობით წინაა დანიელი ნილსენი.

უფრო გვიან ბრძოლაში ჩაებმებიან „მფრინავი ჰოლანდიელით“ მოასპარეზენი. იერიში ამჟამინდელი ოლიმპიური 6 კლასიდან წარმოდგენილი არ არის მხოლოდ „ვარსკვლავი“.

რეგატა, რომელშიც სულ 22 ქვეყნის წარმომადგენელი 239 ეკიპაჟი მონაწილეობს, ერთ კვირას გაგრძელდება. სპეციალისტთა აზრით, შეჯიბრება შემადგენლობის თვალსაზრისით ძალიან ძლიერია. (საკდესი).

# ჯილდო გაინაწილეს

შეჯიბრება, რომელიც გასულ კვირას თბილისის ზღვის მიდამოებში დამთავრდა, ველოსპორტის სეზონის გახსნას მიეძღვნა. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის წამყვანმა სპორტსმენებმა. საქართველოს ფედერაციის მიერ დაწესებული პრიზი ორი რბოლის ჯამში (ყოველ კვირას თითო რბოლა ტარდებოდა) გამარჯვებულ სპორტსმენებს უნდა გადასცემოდა.

პირველ ეტაპს ცუდი ამინდი დაესწრო, ამიტომაც რბოლის მანძილი 25 კილომეტრამდე შემცირდა. ქარი თბილისის ზღვის მიდამოების მუდმივი სტუმარია და იგი ამჯერადაც ხელს უშლიდა მოასპარეზეებს. ამის მიუხედავად, ბრძოლა, რომელიც რუსთაველმა ი. კრასავცევმა მოიგო, საინტერესოდ წარიმართა. გამარჯვებულის შედეგია 47.30,0.

გასულ კვირას ველოსიპედისტები უკვე 75-კილომეტრიან დისტანციაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. საუკეთესო დრო აჩვენა თბილისის დინამოელმა ვ. მალევანიკმა — 1:45.40. წინა ეტაპზე გამარჯვებული კრასავცევი ამჯერად VII ადგილზე აღმოჩნდა. თავდაპირველად ყველას ეგონა, რომ რუსთაველი ველოსიპედისტი ამ წარუმატებლობის მიზეზით პრიზს დაკარგავდა. მაგრამ, როგორც პირველი ეტაპის შემდეგ გაირკვა, მალევანიკიც VII ადგილზე ყოფილა. მეტოქეებს ორი ეტაპის ჯამში ერთნაირი შედეგი აღმოაჩნდათ და პრიზიც გაინაწილეს.

ნ. ფცქიალაძე.

# დღეს სტარტია

დღეს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რესტორან „არაგვის“ მახლობლად, სტარტი მიეცემა თბილისის ტრადიციულ ხუთდღიან ველორბოლას. ასპარეზობაში მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები და სხვა ქალაქებიდან მოწვეული უძლიერესი ველოსიპედისტები.

გაგაცნობთ რბოლის განრიგს: **5 აპრილი.** თბილისი — იგოეთი—თბილისი. **6 აპრილი.** თბილისი — ქინვალი — თბილისი. **7 აპრილი.** თბილისი — წითელი ხიდი — თბილისი. **8 აპრილი** დასვენების დღეა. **9 აპრილი.** რბოლა თბილისის ზღვის მიდამოებში. **10 აპრილი.** თბილისი — ბოლნისი — თბილისი.

ორი პირველი ეტაპის ფინიში მოეწყობა ი. გაგარინის ქუჩაზე. სტარტი ყოველდღე, 11 საათზე.

# ახალი ამბები-72

● **ᲛᲘᲔᲠᲙᲣᲠᲘᲐ ᲩᲣᲙᲘ** (რუმინეთი), 3 აპრილი. ფიგურული ციგურაობის საბჭოთა ოსტატებმა მ. ტიტოვამ და ს. ვოლკოვმა I ადგილები დაიკავეს აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელშიც, საბჭოთა სპორტსმენებს გარდა, მონაწილეობდნენ პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის წარმომადგენლები.

● **ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ**, 3 აპრილი ევროპის იუნიორ ჰოკეისტთა ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩამდე შვეციისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები ქულათა თანაბარი რაოდენობით მივიდნენ. საინტერესოა, რომ ამ კოლექტივებს გატანილი და მიღებული შაიბების ერთნაირი ბალანსიც ჰქონდათ. ლულეოში გამართული ფინალური შეხვედრა შვედებმა მოიგეს (4·1), რომელთაც ოქროს მედლები გადაეცათ. საბჭოთა ჰოკეისტები ვერცხლს დასჯერდნენ. III ადგილისთვის ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიელებმა ანგარიშით 4.1 სძლიეს ფინეთის ნაკრებს.

● **ᲓᲣᲨᲐᲜᲑᲔ, 3 აპრილი** 30-კილომეტრიანმა ტრადიციულმა გარბენმა (ორჯონიკიძეაბადი — დუშანბე) რიგის, ყაზანის, სვერდლოვსკის, ერევნის, დუშანბეს, ჩელიაბინსკისა და სსრ კავშირის სხვა ქალაქების 70 სტაიერს მოუყარა თავი. ძლიერ წვიმაში ტრასა ყველაზე ადრე დაფარა რიგელმა ვ. უბელიტისმა — 1:38 33,6.

● **ᲡᲐᲜᲢᲐ-ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲐ**, 3 აპრილი. კალიფორნიის ამ პატარა ქალაქის სტადიონზე 200 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდის თანაავტორმა დ. ქვორიმ (იამაიკა) ყველას აჯობა 220 იარდზე (სწორ ბილიკზე) შეჯიბრებაში — 19,9 წამი.

● **ᲙᲝᲛᲞᲢᲝᲜᲘ** (ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲐ), **3 აპრილი.** ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲖᲐᲜᲒᲛᲐ ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲐᲜᲛᲐ Ფ. ᲜᲘᲣᲰᲐᲣᲖᲛᲐ 100 Მ 10,1 ᲬᲐᲛᲨᲘ ᲒᲐᲘᲠᲑᲘᲜᲐ.

● **ᲒᲔᲘᲜᲡᲕᲘᲚᲘ** (ფლორიდის შტატი), 3 აპრილი. რ. ჰილმა (აშშ) 120 იარდზე (109,73 მ) თარჯრბენში 13,5 წამი აჩვენა. ეს წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგის გამეორებაა, რომელსაც ამ რამდენიმე ხნის წინათ მიაღწია ასევე ამერიკელმა რ. მილბერნმა.

● **ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ, 3 აპრილი.** ავსტრალიაში მოასპარეზე ამერიკელმა ზანგმა უ. კოლეტმა აქ 400-მეტრიანი დისტანცია 45,6 წამში გაირბინა.

ახალი ამბები-72

ფეხბურთი

# ვეტერანის პრიზზე

გრძელდება შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება.

მატჩი რუსთავში ადგილობრივ „მეტალურგსა“ და ფოთის „კოლხეთს“ შორის არსებითად ლიდერთა შეხვედრა იყო. თამაში მიმდინარეობდა ამ „რანგის“ შესაფერისად: დაძაბულ, ორმხრივ ბრძოლაში, საინტერესოდ. პირველ 45 წუთში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა უპირატესობის მოპოვება შეძლეს და ორჯერ აიღეს „კოლხეთის“ კარი, ამასთან, ორივე გატანილი გოლის თანაავტორი აღმოჩნდა ნახევარმცველი სიჭინავა, რომელმაც ჯერ ვ. ჩიტაურთან გაითამაშა ბურთი, ხოლო შემდეგ, უკვე მატჩის დასასრულს, — მიქაშავიძესთან. ორივე დარტყმამ ზუსტად მიაღწია მიზანს — 2:0.

ოჩამჩირეში თამაშობდნენ ლანჩხუთის „გურია“ და ბათუმის „დინამო“. 44-ე წუთზე ჩხარტიშვილმა კარგად გადააწოდა ბურთი აბაიშვილს და ამ უკანასკნელმა ბათუმელთა კარში გოლი გაიტანა — 1:0.

ლანჩხუთელთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა შეიქნა მეორე ნახევარში. მხოლოდ თავდამსხმელთა უზუსტო დარტყმების წყალობით გადაურჩნენ დინამოელები უფრო დიდი ანგარიშით წაგებას.

სოხუმის დინამოელებმა შინ მიიღეს მახარაძის „მერცხალი“. უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: რუსთავში ჩატარებული მატჩის მომენტი.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.



## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ (რუსთავი) | 4 | 3 | 1 | 0 | 8—3 | 7 |
| „ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ“ (მახარაძე) | 4 | 1 | 3 | 0 | 2—1 | 5 |
| „ᲒᲣᲠᲘᲐ“ (ლანჩხუთი) | 4 | 1 | 2 | 1 | 3—4 | 4 |
| „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ“ (ფოთი) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—3 | 4 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ბათუმი) | 5 | 1 | 2 | 2 | 2—3 | 4 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (სოხუმი) | 5 | 0 | 4 | 1 | 1—2 | 4 |
| „ᲓᲘᲚᲐ“ (გორი) | 4 | 0 | 2 | 2 | 1—3 | 2 |

# სპორტული აპრილი

გაზაფხულის მეორე თვე სპორტის ზამთრის სახეობების უკანასკნელი სტარტების თვე იქნება. გაიმართება ბევრი სხვა საინტერესო შეჯიბრებაც. გთავაზობთ მათგან უმთავრესს.

## აკადემიური ნიჩბოსნობა

15-16. მინგეჩაურისა და შავი ზღვის რეგატები.

30. „რვიანების" საერთაშორისო შეჯიბრება (გდრ).

## აკრობატიკა

25-28. სსრ კავშირის ჩემპიონატი (თბილისი).

## აფროსნობა

10-16. საერთაშორისო შეჯიბრება „ტემპესტის" კლასში (იტალია).

11-20. ევროპის ჩემპიონატი „ფინ-ხულის" კლასში (საფრანგეთი).

29. IV-6. V. ევროპის ჩემპიონატი „ვარსკვლავის" კლასში (იტალია).

## ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა

26-28. სსრ კავშირის თასი (ზუგ-რესი).

## ბატუტზე ხტომა

19-20. სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალი ინდივიდუალურ ხტომაში (დუშანბე).

## ველოსპორტი

5. საკავშირო შეჯიბრება გზატკე-ცილზე ა. ჩერეპოვიჩის პრიზზე (ფერ-განა).

11-15. მრავალეტაპიანი რბოლა გზატკეცილზე (დუშანბე).

11-23. საერთაშორისო შეჯიბრება გზატკეცილზე — „მაროკოს ტური" (მაროკო).

22-29. საერთაშორისო შეჯიბრება გზატკეცილზე—მრავალეტაპიანი რბო-ლა „განთავისუფლება" (იტალია).

22. IV.-2. V. საერთაშორისო შეჯი-ბრება გზატკეცილზე — მრავალეტაპი-ანი რბოლა (საფრანგეთი).

## თავისუფალი ჭიდაობა

24-26. ევროპის ჩემპიონატი (პო-ლონეთი).

## თანამედროვე ხუთჭიდი

5-6. საერთაშორისო შეჯიბრება (ალმა-ათა).

22-26. საერთაშორისო შეჯიბრება (ერევანი).

27-31. საერთაშორისო შეჯიბრება (საფრანგეთი).

## კალათბურთი

6. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ქალთა შორის: „სპარტა" (პრა-ღა) — ტტტ (რიგა). ჩეხოსლოვა-კია.

6. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი ქალთა შორის: „ვოჟდოვაცი" (ბელგრადი) — „სპარ-ტაკი" (ლენინგრადი) იუგოსლავია.

11-17. სსრ კავშირის ქალთა ჩე-მპიონატი. „ა" კლასის II ჯგუფი, მეორე წრე, II ტური (ლენინგრადი).

16-18. სსრ კავშირის ქალთა ჩემ-პიონატი. „ა" კლასის I ჯგუფი, მე-ორე წრე, III ტური (ლენინგრადი).

23. IV-7. V. სსრ კავშირისა და აშშ-ს ვაჟთა გუნდების მატჩები (მოსკოვი, კიევი, ვილნიუსი, ტალინი, თბილისი).

## კლასიკური ჭიდაობა

28-30. ევროპის ჩემპიონატი (პო-ლონეთი).

## კრივი

4-9. სსრ კავშირის თასი (კრასნო-იარსკი).

20-23. საერთაშორისო შეჯიბრებე-ბი (ბულგარეთი და რუმინეთი).

## მაგიდის ჩოგბურთი

15-22. ევროპის ჩემპიონატი (ჰო-ლანდია).

## მშვილდოსნობა

21-22. საკავშირო შეჯიბრება (კი-ევი).

## მძლეოსნობა

22-23. გოგონათა და ჭაბუკთა სა-კავშირო შეჯიბრება (სოჭი).

23. საკავშირო კროსი გაზეთ „პრა-ვდას" პრიზებზე. ფინალი (კიშინი-ოვი).

28-29. საკავშირო შეჯიბრება სპო-რტულ სიარულსა და მარათონულ რბენაში (უჟგოროდი).

## მხატვრული ტანვარჯიში

19-20. საერთაშორისო შეჯიბრება ლატვიის მხატვართა კავშირის პრიზ-ზე (რიგა).

## სათხილამურო სპორტი

5-6. საერთაშორისო შეჯიბრება რბოლაში (შვეცია).

9. სსრ კავშირის ჩემპიონატი სა-შუალო ტრამპლინიდან ხტომაში (კი-როვსკი).

9. სსრ კავშირის ჩემპიონატი 70 კმ-ზე რბოლაში (კანდალაქშა).

15-16. საერთაშორისო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში (კიროვსკი).

## სამთოსათხილამურო სპორტი

15-16. სსრ კავშირის თასის პროგ-რამით — „იმიერპოლარეთის გაზა-ფხულის პრიზი" (მონჩეგორსკი).

24-28. საერთაშორისო შეჯიბრება „იალბუზის პრიზზე" (ტერსკოლი).

## სამოტოციკლო სპორტი

9. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში „250-ანების" კლასში (ესპანეთი).

16. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში „250-ანების" კლასში (საფრანგე-თი).

23. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში „500-ანების" კლასში (ავსტრია).

30. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში „500-ანების" კლასში (შვეიცარია).

## სასტენდო სროლა

5. სსრ კავშირის თასი (დონის როსტოვი).

22-23. საერთაშორისო შეჯიბრება — „მოსკოვის დიდი პრიზი" (მოსკო-ვი).

## ტანვარჯიში

21-22. სსრ კავშირისა და ფინეთის ვაჟთა გუნდების მატჩი (მოსკოვი).

24-27. მოზრდილთა და იუნიორთა საერთაშორისო შეჯიბრება (რიგა).

## ტყვიის სროლა

18-27. საკავშირო შეჯიბრება (ლვოვი).

## ფარიკაობა

7-9. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი დაშნაში (გფრ).

7-9. საერთაშორისო შეჯიბრება ეს-პადრონში — „ვოლოდიევსკის ტურ-ნირი" (პოლონეთი).

14-16. საერთაშორისო შეჯიბრება რაპირაში (გდრ).

22-26. ქალთა საერთაშორისო შე-ჯიბრება — „ბელორუსიის თასი" (მინსკი).

29-30. საერთაშორისო შეჯიბრება დაშნაში (შვეიცარია).

## ფეხბურთი

5. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი: „დინამო" (ბერ-ლინი) — „დინამო" (მოსკოვი). ბე-რლინი.

12. სსრ კავშირისა და გფრ-ის ოლ-იმპიური გუნდების მატჩი (სოჭი).

19. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი: „დინამო" (მოს-კოვი) — „დინამო" (ბერლინი). მო-სკოვი.

## ფიგურული ციგურაობა

8-12. სსრ კავშირის ჩემპიონატი (მინსკი).

14-16. საერთაშორისო შეჯიბრება— „ქარვის ციგურები" (რიგა).

## ფრენბურთი

13-17. ვაჟთა გუნდების საერთაშო-რისო შეჯიბრება (საფრანგეთი).

24-29. სსრ კავშირისა და იაპონი-ის ქალთა და ვაჟთა გუნდების შეჯი-ბრებები: ქალები — ლენინგრადსა და მინსკში, ვაჟები — დონის როსტოვსა და ლენინგრადში.

## ცურვა

7-9. სსრ კავშირისა და გდრ-ის გუ-ნდების მატჩი (მოსკოვი).

7-9. გდრ-ისა და სსრ კავშირის მო-ზარდთა გუნდების მატჩი (გდრ).

17-18. საერთაშორისო შეჯიბრება (იუგოსლავია).

18-19. გფრ-ისა და სსრ კავშირის გუნდების მატჩი (გფრ).

## ძალოსნობა

11-15. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ტალინი).

21-25. იუნიორთა საკავშირო პირ-ველობა (ხარკოვი).

## ძიუდო

27-30. მეგობრულ არმიათა სპორ-ტსმენების საერთაშორისო შეჯიბრება (ლვოვი).

## წყალბურთი

18-23. სსრ კავშირის ჩემპიონატი. „ა" კლასის I. ჯგუფი, მეორე წრე (კიევი).

27-29. საერთაშორისო შეჯიბრება (იუგოსლავია).

## წყალში ხტომა

19-20. საკავშირო შეჯიბრების ფი-ნალი (დნეპროპეტროვსკი).

## ხელბურთი

8. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ქალთა შორის: „ბაკონი" (ვეს-პრემი) — „სპარტაკი" (კიევი). უნგ-რეთი.

14-22. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა შორის. „ა" კლასის I ჯგუფი, მეორე წრე (პერვოურალსკი).

30. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალი ქალთა შორის (ჩეხო-სლოვაკია).

## ჰოკეი

7-22. მსოფლიო ჩემპიონატი (ჩეხო-სლოვაკია).

# ბრაზილიის ნაკრები და მოსკოვის „ტორპედო"

**კანი, 3 აპრილი.** საფრანგეთის ამ ქალაქში დამთავრდა ჭაბუკ ფე-ხბურთელთა საერთაშორისო ტუ-რნირი. ფინალურ მატჩში ერთმა-ნეთს შეხვდნენ ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრები გუნდები. ბრძოლა უაღრესად მძაფრი და სა-ინტერესო იყო. დამატებით დრო-ში ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ბრა-ზილიელებმა, რომლებიც ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ.

**ბელინცონა** (შვეიცარია), **3 აპ-რილი.** მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა გუნდმა ზედიზედ მეორედ მიაღწია წარმატებას აქ გამართულ საერთა-შორისო ტურნირში. ფინალურ მა-ტჩში მან მძაფრ ბრძოლაში სძლია მილანის „ინტერნაციონალეს" — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი მე-14 წუთზე გაიტანა პლოხინმა.

ტორპედოელები შინ არა მარტო ვერცხლის თასსა და ოქროს მედ-ლებს წაიღებენ, არამედ საუკეთე-სო ბომბარდირისთვის დაწესებულ პრიზსაც: ეს ჯილდო დაიმსახურა სუანოვმა, რომელმაც 4 გოლი გა-იტანა.

დანარჩენი ადგილები ასე გნა-წილდა: 2. „ინტერნაციონალე", 3. „ბარსელონა" (ესპანეთი), 4. „სტოკ-სიტი" (ინგლისი), 5. „ლო-ზანა" (შვეიცარია), 6. „ლევსკი-სპარტაკი" (ბულგარეთი), 7. „ბე-ლინცონა", 8. „ვარესე" (იტალია).

ახალგაზრდა ფეხბურთელთა ტურნირმა დიდი ინტერესი გამოი-წვია.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## მოკლედ

● **კარდიფი.** გამოჩენილი უე-ლსელი ფეხბურთელის ჯ. ჩარლზის ვაჟი ტერი დიდ იმ-ედებს იძლევა. 17 წლის ტერი უელსის მოსწავლეთა ნაკრებში შეიყვანეს.

● **ბუენოს-აირესი.** არგენტი-ნის ფეხბურთის ფედერაცი-ამ ფიფა-ს სთხოვა 1978 წლისთვის, როცა არგენტინა მსოფლიო ჩემპიონატს უმა-სპინძლებს, ფინალისტთა რიცხვი 24-მდე გაზარდოს.

● **ვენა.** ავსტრიელი მიმომხი-ლველები სინანულით წე-რენ, რომ უცხოეთში მოთა-მაშე მათი ფეხბურთელე-ბიდან ჩინებული ნაკრები გამოვიდოდა. ისინი ადგენენ კიდეც ასეთ ნაკრებს: ჩო-ტერშტაინერი („ბოტაფო-გო"), შნიდრადიორი („ოფე-ნბახი"), შლიხერი („აიაქ-სი"), პერსიდისი („ოლიმ-პიაკოსი"), ჰასილი („ფეიე-ნოორდი"), სტარეკი („ნიუ-რნბერგი"), ეტმაიერი („შტუტგარტი"), კალტენბ-რუნერი („ნიცა"), პარიცი („აინტრახტი", მაინის ფრა-ნკფურტი), რაფრაიდერი („სენტ-გალონი"), ფლეგელი („გრასჰოპერსი").

● **ნიქოზია.** იუგოსლაველი მწვრთნელი ს. მილოვანოვი დანიშნულია კვიპროსის ნაკ-რების მთავარ მწვრთნელად.

● **რიო-დე-ჟანეირო.** „ბოტა-ფოგოს" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ 28 წლის თავდამსხმელმა ჟაირზინიომ კიდევ ორი სეზონით მოა-წერა ხელი კონტრაქტს ამ კლუბთან.

# უიმბლდონის ტურნირი და ელონა გულაგონგი

უიმბლდონის ტურნირის ის-ტორია ვრცელია. ამ შე-ჯიბრებაზე ძალიან ბევრი რამ შე-იძლება ითქვას.

ჩოგბურთის განვითარებაში უი-მბლდონის ტურნირს ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის. 1967 წელს ამ შეჯიბრებას 90 წელი შეუსრულდა. საიუბილეო წლის ჩემპიონები გახ-დნენ: ვაჟებში — ავსტრალიელი ნიუკომბი, ქალებში — ამერიკელი მოფიტ-კინგი. ამ წლების განმავ-ლობაში ჩოგბურთის თამაშის სტი-ლი ძირფესვიანად შეიცვალა, თუ-მცა კი შეჯიბრების წესი თითქმის იგივე დარჩა. ამჟერად ჩოგბურთი გაცილებით დინამიკური და სწრა-ფია.

ძალიან შეიცვალა სპორტსმენის სასპარეზო ტანსაცმელი და ფეხ-საცმელი. ახლა ალბათ გაგვიჭირ-დება გაგება, როგორ მოძრაობდნენ ჩოგბურთელები მაშინდელ ტანსა-ცმელში, განსაკუთრებით, ქალები, რომლებსაც კოჭებამდე კაბები ეც-ვათ. საუკუნის დასაწყისში ძმებმა დოჰერტებმა შემოიღეს ჩოგბურ-თელთა ახალი ფორმა — თეთრი, გრძელი შარვლები და თეთრი პე-რანგები. ამ ფორმამ 30 წელზე მეტ ხანს გაძლო.

უიმბლდონის ტურნირის სარბიე-ლზე პირველად 30-ან წლებში გა-მოჩნდა მოკლე შარვალსა და მო-კლესახელოიან პერანგში გამოწყო-ბილი ინგლისელი ჩოგბურთელი ა. ოსტინი, რამაც, ბუნებრივია, დიდი განცვიფრება გამოიწვია. მაგრამ ეს კოსტიუმი ნელ-ნელა პოპულარუ-ლი გახდა. მან საყოველთაო უფ-ლებები მოიპოვა მხოლოდ 1947 წლის შემდეგ, როდესაც ოსტინის შემოღებული ფორმა „სცნო" ტუ-რნირში გამარჯვებულმა ი. კრამე-რმა.

ქალთა ჩოგბურთის ტანსაცმლის შეცვლაში პიონერი გახდა ფრანგი ჩოგბურთელი ს. ლენგლენი, რო-მელმაც უიმბლდონის ტურნირში ექვსჯერ გაიმარჯვა.

ტურნირი ბევრი სხვადასხვაგვა-რი სიურპრიზის მოწმე ყოფილა.

უიმბლდონის 1971 წლის ღია ჩემპიონატმა მსოფლიოს უძლიე-რეს ჩოგბურთელებს მოუყარა თა-ვი. და აქ მოხდა სენსაცია: ფინა-ლში გავიდა ავსტრალიელი აბორი-გენი ქალი, 19 წლის ელონა გუ-ლაგონგი. მისი მეტოქე იყო ავსტ-რალიისა და მსოფლიოს პირველი ჩოგანი, 28 წლის მარგარეტ სმით-კორტი.



სამეფო-სამხედრო აკადემიის ორკესტრმა დაამთავრა მატჩისწინა კონცერტი. მწვანე მინდორზე სა-ასპარეზოდ გამოვიდნენ მ. სმით-კორტი და ე. გულაგონგი. მათ რე-ვერანსი გაუკეთეს პრინც ალექსა-ნდრეს და პრინცესა მარგარეტს. აი, რას წერს 1971 წელს უცხოე-თის პრესა ელონა გულაგონგის შესახებ: „მისი იშვიათი ბუნებრი-ვი ტალანტი და შინაგანი მონაცე-მები მატჩის დასაწყისშივე ნათელი გახდა. თამაშის დროს ელონა მოძ-რაობდა თავისუფლად, მსუბუქად, აწვდიდა ძლიერად. მისი მოძრაო-ბის სისხარტე და ტანის მოქნი-ლობა დიდებული საყურებელი იყო. მან მარგარეტს თავს მოახ-ვია სწრაფი, ათლეტური თამაში, რის გამოც სმითი ძლიერ დაღლი-ლი და ბევრად უფრო ხნიერი ჩა-ნდა, ვიდრე მის 28 წელს შეეფე-რებოდა. ნერვებმაც უმტყუნა, მა-გრამ მაინც იბრძოდა თამაშის ბოლომდე. ამჯერად მ. სმით-კორ-ტი აჩრდილიღა იყო იმ ძველი მო-თამაშისა, რომელმაც 82 საერთა-შორისო წოდება მოიპოვა — ერ-თეულ, ქალთა წყვილებისა და შე-რეული წყვილების შეჯიბრებებ-ში".

19 წლის ელონა გულაგონგით იწყება ახალი ერა ქალთა ჩოგ-ბურთში. საოცარი შრომისუნარია-ნობის წყალობით ელონა ახალ და ახალ წარმატებებს აღწევს.

ლ. მგალობლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

* * *

სურათზე: ე. გულაგონგი ას-პარეზობისას.

---

რედაქტორი მ. ბაკაბაძე.

---

# თბილისის სპორტული კვირა

ფეხბურთი. „სინათლის" სტადიონი. საქართველოს პირ-ველობა. 5 აპრილი. „სინათლე" (თბილისი) — „ხალხინო" (გე-გეჭკორი). დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04487